ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #210/ბ

თბილისი „ 14 “ „მაისი“ 2019 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, **სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“ (შემდგომში - „შემსყიდველი“)** წარმოდგენილი მისი დირექტორის **მერი მაღლაფერიძის** სახით და მეორეს მხრივ **შ.პ.ს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი”)** წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის **ლალი კემულარიას** სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველმა განახორციელა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და “სსიპ- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 დეკემბრის N2456 განკარგულების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვა, შემსყიდველისათვის საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში (სახაზინო კოდი-270205) შემსყიდველის სტრუქტურული ერთეულის ქუთაისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი და კრიზისული ცენტრის) ბენეფიციარის (ნ.გ-პ/ნ-61009022078) საჭიროებისათვის, სამედიცინო მომსახურების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება – ჯანდაცვის სამსახურის მომსახურებები - CPV-85100000 დეტალური- CPV-85111000-საავადმყოფოს მომსახურებები) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება არაუმეტეს **30** (ოცდაათი) ლარად (შემდგომში `ხელშეკრულების ღირებულება~),რომელიც წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების საფასურის თანაგადახდას.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქუთაისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი და კრიზისული ცენტრის) ბენეფიციარის (ნ.გ-პ/ნ-61009022078) საჭიროებისათვის შემდეგი სამედიცინო მომსახურება:

- **ექიმ-ფსიქიატრის კონსულტაცია, ღირებულებით 30** (ოცდაათი) **ლარი.**

4. მომსახურების გაწევის პირობები

მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების დადეებიდან **10** კალენდარული დღის ვადაში „მიმწოდებლის“ კლინიკაში, მის: ქ. ქუთაისი, ო.ჩხობაძის 20.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი.

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტით, მომსახურების გაწევის შემდეგ, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

5.2 მომსახურების გაწევის შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დ.ღ.გ-ს გადამხდელია).

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2. ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ხელშეკრულების 5.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციისა და ხელშეკრულების

15.1. პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

6.3 შემსყიდველი უზრუნველყოფს `მიმწოდებლის“ დაფინანსებას 6.2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1 შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.3 დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება.

7.2.2 დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო
კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს `შეთანხმების~ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების
მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება,
აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) მეორე მხარე უფლებამოსილია დამრღვევ მხარეს მოთხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,02%–ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%–ის ოდენობით.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის არაჯეროვანი შესრულებისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%–ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2 ერთ–ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;

14.1.3.ხელშეკრულების 13.3. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწიენებულ სხვა შემთხვევებში;

15. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

15.2.1 გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2 ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

სსიპ ,,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”
ქ. თბილისი თამარაშვილის #15ა
სახელმწიფო ხაზინა
კოდი # TRESGE22
ა/ა # GE24NB0330100200165022
ს/კ # 205169592

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“
მის: ქ. ქუთაისი, ო.ჩხობაძის 20
ს/ს „საქართველოს ბანკი“
კოდი # BAGAGE22
ა/ა #GE23BG0000000119051600
ს/კ 212693762

ltd kutaisi mental helth center

Digitally signed by ltd kutaisi mental helth center
DN: cn=ltd kutaisi mental helth center, 2.5.4.97=NTRGE-212693762, o=••• •••••••• ••••••••• •••••••••••• ••••••, c=GE
Date: 2019.05.14 10:00:31 +01'00'